7

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის _ _ ივნისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების
საკოორდინაციო ცენტრი"
Georgia
Non-Entrepreneurial/Non-Profit/Legal Entity
"Tskaltubo Municipality Tourism Development Coordination Center"

N 126/19
19.06.2026

19-126-2-202606191550

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ

გიგზავნით ანგარიშს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი''- ს მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ .

იხილეთ დანართი

მერაბ მელაძე

დირექტორი - მ.შ.
ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"

5400 ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №39ა, ☎ 591446094 (0436)22-46-76
5400 Tskaltubo. Rustaveli St. №39a Tel: 591446094 (0436)22-46-76
E-mail: Tskaltubo.centertourism@gmail.com

ანგარიში ა (ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს მიერ 2025 წელს გაწეული სამუშოების შესახებ

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი" ყოველწლიურად, საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს სარეკლამო ბროშურების ბეჭდვას, სარეკლამო მასალის განახლებას, რომლის განთავსებაც ხდება სხვადასხვა ტურისტულ ლოკაციებზე, შიდა და საერთაშორისო გამოფენებსა თუ ადგილზე ვიზიტორთათვის. წლის დასაწყისში აღირიცხა და განახლდა წყალტუბოში არსებული ტურისტული ლოკაციების ბაზა: დაცული ტერიტორიები, მუზეუმები, მარნები, ბალნეოლოგიური ცენტრები, განთავსებისა და კვების ობიექტები, რის საფუძველზეც დაიბეჭდა სარეკლამო ბანერები, ბროშურები, 3 სახის რუკა 150/180-ზე, ქალაქის არტ-რუკა. სამედიცინო ტურიზმის, კვებისა და განთავსების სივრცეები მუნიციპალიტეტის მასშტაბით დატანილი იქნა სპეციალურად დამზადებულ ბანერზე. აგრეთვე დაიბეჭდა 15/20 სმ ბროშურები სამ ენაზე.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის" ადმინისტრაციული შენობა (ინოვაციების ცენტრი) ყოველწლიურად აახლებს და ამატებს საჭირო სხვადასხვა დამატებით ტექნიკას, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილი ტრენინგ-სემინარების სრულყოფილად ჩატარებას. (გამაგრილებელ-გამათბობელი ტექნიკა, ყავის აპარატი და სხვა შესაბამისი საოფისე ტექნიკა).

2025 წლის 17 იანვარს ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში (ინოვაციების ცენტრი) გაიმართა მომავლის პროფესიების შემსწავლელი კურსები იდეარუმის აკადემიასთან თანამშრომლობით. გადამზადდა 15 მოსწავლე „Front-End დეველოპმენტის, მოუშენ დიზაინის და ვიდეო მონტაჟის მიმართულებით.

2025 წლის 4-8 თებერვალს ცენტრის მმართველი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად მონაწილეობდა თურქეთში, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის" ორგანიზებით 2025 წლის 22 თებერვალს აღინიშნა გიდების საერთაშორისო დღე. ინდივიდუალური სასაჩუქრე ნაკრებები და სერთიფიკატები გადაეცა 30 ადგილობრივ გიდს, სხვადასხვა რეგიონების ტურიზმის სფეროს ხელმძღვანელებს. ასევე ცალკე ნომინაციით დაჯილდოვდა ექვსი საუკეთესო გიდი. ღონისძიებას გარდა ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, ესწრებოდა: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია(GNTA), სსიპ კურორტების განვითარების საგენტო,აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი,აჭარის გიდების ასოცოაცია, ქუთაისის, გორის და ლენტეხის თვითმმართველობების წარმომადგენლები. გიდების საერთაშორისო დღე წყალტუბოში აღინიშნება ყოველწლიურად.

2025 წლის 22 თებერვალს წყალტუბო ასევე წარმოდგენილი იყო ცენტრის ხელმძღვანელის სახით, სვანეთის კურორტ მუაშში, ბიატლონის ახალი კომპლექსის გახსნაზე.

2025 წლის 2 მარტს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ,,ჰიგიენა და სურსათის უვნებლობა";

2025 წლის 22 მარტს ტურიზმის სამსახურის ხელმძღვანელობით გაიმართა წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება დევიზით - ,,წყალტუბო, საქართველოს თერმული წყლების დედაქალაქი", ,,ქალაქი, რომელიც ზრუნავს". წყალტუბო, როგორც მოგეხსენებათ 2019 წლიდან გახლავთ ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის EHTTA-ს წევრი. აქცენტი გაკეთდა, რომ წყალტუბო იზიარებს ასოციაციის წევრი ქალაქების პრაქტიკულ გამოცდილებას და ხელს უწყობს ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებას. ღონისძიების ფარგლებში, წყალტუბომ უმასპინძლა კურორტოლოგებს, გარემოს დაცვის ექსპერტებს, დარგის პროფესიონალებს. გაიმართა დისკუსია წყლის რესურსების მართვის, თერმული წყლების პოტენციალისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე.სიტყვით გამოვიდნენ:აჭარის გიდების ასოციაციის დამფუძნებელი - თემურ ზოიძე,საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის თავჯდომარე - ოსმან ჩალიშქანი,აკაკი წერეთლის სახელობის უნივერისტეტის კათედრის წარმოიმადგენლები,მინერალური წყლის "ლუგელას" წარმომადგენელები. ცენტრმა საჩუქრები გადასცა სასტუმროთა GM-ებს, რომელიც სტუმარს სთავაზობს უმაღლესი ხარისხის სპა-მომსახურეობას, ექიმ-კურორტოლოგებს, ადგილობრივ ბიზნესმენებს და ღონისძიების სპონსორებს (ღონისძიების სპონსორები გახლდათ: hotsale.ge, umi.com, medical.com, lugera.com)

2025 წლის 28 მარტს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ,,მარკეტინგი და გაყიდვები";

2025 წლის 7 აპრილს ცნობილი კურორტოლოგის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პროფესორის, წყალტუბოს კურორტოლოგიის ფიზიოთერაპიისა და რეაბილიტაციის ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელის, დამსახურებული მედიკოსის, არაერთი სამეცნიერეო ნაშრომისა და კვლევის ავტორის ოთარ შავიანიძის დაბადებიდან ასი წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. სიტყვით გამოვიდნენ, პროფესორი ზაზა სოფრომაძე, პოეტი ერეკლე საღლიანი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, ქ. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი შალვა კირთაძე, ალერგოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი მანანა ჩიხლაძე, პროფესორი გიორგი გაბუნია, საქართველოს ეროვნული არქივის დირექტორი მერაბ კეზევაძე, პროფესორი მარინა შავიანიძე და ადგილობრივი ექიმ-კურორტოლოგები, რომლებმაც ოთარ შავიანიძის მიერ ბალნეოლოგიური კურორტის და მისი უნიკალური რადონული წყლების კვლევის საქმეში შეტანილი უდიდესი წვლილის შესახებ ისაუბრეს. ოთარ შავიანიძის საიუბილეო საღამო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის" ორგანიზებით გაიმართა.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა" 2025 წელს მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღების და წყალტუბოს პოპულარიზაციის კუთხით.

მიმდინარე წლის 9-11 მაისს ბათუმში გაიმართა ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-16 საერთაშორისო გამოფენა Ebit-2025, სადაც მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა“ წყალტუბოს ადგილობრივი სასტუმროების წარმომადგენლებთან ერთად.

2025 წლის 23-24 მაისს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი ვერა ზურაბიანი იმყოფებოდა მივლინეებაში, თბილისში,ყაზახური კომპანია Rustar Online ის მიერ დაგეგმილ შეხვედრაზე, შეხვედრის თემა იყო Workshop-ის დეტალების განხილვა.

2025 წლის 26-28 მაისს ტურიზმის ცენტრი და ადგილობრივი სასტუმროების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ყაზახეთის ქალაქ ალმათში, ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე.

2025 წელს 3-7 ივნისს ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერთან ერთად იმყოფებოდა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში, ტურიზმის საერთაშორისო კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაიმართა ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის (EHTTA)-ს მიერ.

2025 წლის 12-14 ივნისს თბილისში გაიმართა სამედიცინო გამოფენა (სამედიცინო ტურიზმის მიმართულება), სადაც მიწვეული იყო ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრიც“.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ მიერ საანგარიშო პერიოდში დაორგანიზდა რამდენიმე ტრენინგ-სემინარი:

2025 წლის 29 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი ვერა ზურაბიანი იმყოფებოდა მესტიაში, მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე დასასწრებად.

სახალხო დღესასწაულ „შემოდგომის წყალტუბო“-სთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სტუმრობდენ სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები.ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა 15ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით უზრუნველყო სტუმრების მიღება-განთავსება სასტუმრო „წყალტუბო პლაზა“-ში.დღესასწაულის ფარგლებში,ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა სტუმრებს უმასპინძლა ბათუმში, აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის ჩართულობით.ასევე,ტურიზმის განვითარების ცენტრმა სტუმრებს უმასპინძლა „შპს კურორტ საირმეში.

2025 წლის 24 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი იმყოფებოდა ქალაქ ბათუმში, ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად.

2025 წლის 27-28 ოქტომბერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა EDU-მედიატორთან თანამშრომლობით ჩაატარა ტრენინგი რომლის თემა იყო ციფრულ მარკეტინგი, PR და გაყიდვების სტრატეგიები ტურიზმის სექტორში. ტრენინგს დაესწრნენ მუნიციპალიტეტში არსებული სასტუმროებისა და რესტორნების საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლები. ტრენინგი ჩაატარა მოწვეულმა ტრენერმა - პროფესორმა ნინო კეკელიძემ.

2025 წლის 20-21 ნოემბერს ქალაქ ბათუმში, სასტუმრო ჰილტონში, გაიმართა საქართველოს ტურიზმის სამიტი ტურისტერი 2025, სადაც მიწვეული იყო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა 1 დეკემბერს ჩაატარა ტრეინინგი ტურისტული პროდუქტის ფორმირება და მისი პოზიციონირება თანამედროვე მსოფლიო ტურისტულ რუკაზე.კურსი მოიცავდა როგორც პრაქტიკულ, ისე სტრატეგიულ ცოდნას, რომელიც საჭიროა თანამედროვე ტურიზმის სფეროში კონკურენტუნარიანობის მისაღწევად.

2025 წლის 5-7 დეკემბერს ქალაქ ბათუმში გაიმართა კომპანია „EXPO BATUMI”-ის ორგანიზებით , სამშენებლო მასალების , ტექნოლოგიებისა და უძრავი ქონების მე-14-ე საერთაშორისო გამოფენა „BATUMI BUILD 2025”. სადაც მიწვეული იყო ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.

2025 წლის 18 დეკემბერს “თბილისი აუთლეტ ვილიჯ”-მა ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისთვის გამართა შეხვედრა, რომლის მიზანი იყო ახალი შესაძლებლობების წარმოჩენა და ერთობლივი თანამშრომლობის გაღრმავება. სადაც მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“ პერიოდულობით ამზადებს და აახლებს სასაჩუქრე პაკეტებს წყალტუბოს სიმბოლიკით, რომელიც ასევე მოიცავს ცენტრის მიერ წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების კალენდარს. აღნიშნული პაკეტები გადაეცემა როგორც ქალაქის სტუმრებს, ასევე საერთაშორისო გამოფენებში მონაწილე სხვა ქალაქების წარმომადგენლებს.

2025 წელს, წყალტუბოს ტურიზმის განვითარების ცენტრმა, ბრენდული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში, მიზანმიმართულად შეიმუშავა ორი განსხვავებული, თუმცა ერთმანეთისგან შინაარსობრივად გამომდინარე სპეციფიკური ლოგო, რომლებიც ცენტრის სტრატეგიულ ხედვასა და ღირებულებებს სრულად ასახავს.

პირველი ლოგო — წყლის წვეთის სიმბოლოთი — ხაზს უსვამს წყალტუბოს როგორც უნიკალური ბალნეოლოგიური მიმართულების იდენტობას. წყლის წვეთი განასახიერებს სიცოცხლეს, განახლებას, ბუნებრივ ძალას და ჯანმრთელობას, რაც წყალტუბოს ისტორიულ და თანამედროვე ტურისტულ პროფილს წარმოადგენს. აღნიშნული სიმბოლო მკაფიოდ უკავშირდება ქალაქის თერმულ რესურსებს და საერთაშორისო მასშტაბით ადვილად აღქმადი ვიზუალური ნიშანია სამკურნალო და ველნეს ტურიზმის კონტექსტში.

მეორე ლოგო — გაშლილი ხელის გულების სიმბოლოთი — ასახავს ცენტრის ღია, ადამიანზე ორიენტირებულ და ინკლუზიურ პოლიტიკას. გაშლილი ხელები სიმბოლურად გამოხატავს სტუმართმოყვარეობას, ზრუნვას, მიღებასა და უსაფრთხო გარემოს შექმნას ყველა ვიზიტორისთვის. აღნიშნული სიმბოლო ხაზს უსვამს ტურიზმის ცენტრის სოციალურ პასუხისმგებლობას და მის სწრაფვას, ტურიზმი გახდეს ხელმისაწვდომი და თანასწორი ყველასთვის.

ორი განსხვავებული სიმბოლოს გამოყენებით, ცენტრმა შეძლო ერთი მხრივ ბუნებრივ-რესურსული იდენტობის, ხოლო მეორე მხრივ ადამიანური და ღირებულებითი განზომილების მკაფიო კომუნიკაცია. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს გააზრებულ და სტრატეგიულად სწორ არჩევანს, რომელიც თანამედროვე ტურისტული ბრენდინგის საერთაშორისო პრაქტიკას სრულად შეესაბამება და აძლიერებს წყალტუბოს პოზიციონირებას როგორც უნიკალური, მზრუნველი და მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულების "ქალაქი რომელიც ზრუნავს"

ა (ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს 2025 წლის ანგარიში

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს 2025 წლის მისაღები სუბსიდია გეგმით განისაზღვრა 203900 ლარი, დაზუსტებული 223900 ლარი, მიღებული არის 223900 ლარი. ხარჯები გეგმით განისაზღვრა 216900 ლარი, დაზუსტებული 216900 ლარი, გახარჯული არის 205140.4 ლარი.

2025 წლის ანგარიშით სახელფასო ფონდში განისაზღვრა 109264 ლარი, დაზუსტებული არის 109264 ლარი, გახარჯული არის 102454 ლარი. შესრულებული არის 93.76 %

მივლინების მუხლში განსაზღვრული იყო 11900 ლარი, დაზუსტებული არის 11900 ლარი, გახარჯული არის 11696 ლარი. შესრულებული არის 98.28 %

ოფისის ხარჯების მუხლში განსაზღვრული იყო 21610 ლარი , დაზუსტებული არის 21610 ლარი , გახარჯული არის 18358.9 ლარი . შესრულებული არის 85%

წარმომადგენლობითი ხარჯები განსაზღვრულია 27938 ლარი, დაზუსტებული არის 27938 ლარი, გახარჯული არის 27936.2 ლარი. შესრულებული არის 99.99 %

ტრანსპორტის ტექნ. და იარაღის ექსპლ. და მოვლა-შენახვის მუხლში განსაზღვრული იყო 7200 ლარი, დაზუსტებული არის 7200 ლარი, გახარჯული არის 6243.7 ლარი. შესრულებული არის 86.71 %.

სხვა დანარჩ.საქონ. და მომსახურეობა ხარჯის მუხლში განსაზღვრული იყო 38488 ლარი, დაზუსტებული არის 38488 ლარი, გახარჯული არის 37956.9 ლარი. შესრულებული 98.62 %.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში განსაზღვრული იყო 7000 ლარი, დაზუსტებული არის 7000 ლარი, გახარჯული არის 3690 ლარი, შესრულებული არის 52.71 %.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს

დირექტორის მ/შ /მ.მელაძე/

საფინანსო- ეკონომიკური და შესყიდვების მართვის

კოორდინატორი /ლ.ჯიშკარიანი/